სიტუაციური რუკა



შეთანხმება

უძრავი ქონების ვალდებულებით დატვირთვისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში **„შეთანხმება“**) დადებულია ქ. თბილისში, 2022 წლის ____ ივნისს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, შპს **„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“**, ს/ნ 203826002 (შემდგომში **„GWP“**), წარმოდგენილი მისი გენერამური დირექტორის ირაკლი ბაბიხადიას (პ/ნ 01031000434) მიერ; და

მეორე მხრივ, **შპს „მაქსთერმი“**, ს/ნ 237978113 (შემდგომში **„მესაკუთრე“**) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კუკულავას (პ/ნ 01001010197) მიერ;

„GWP“ და „მესაკუთრე“ ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც **„მხარეები“**, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც **„მხარე“**;

ვინაიდან,

(ა) „მესაკუთრის“ საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 2821.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შემდგომში **„მიწის ნაკვეთი“**), მისამართი: ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N149; საკადასტრო კოდი: 01.13.02.003.205;

(ბ) „მესაკუთრეს“ სურს „მიწის ნაკვეთზე“ სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევით უკვე განთავსებულ კაპიტალურ ნაგებობაზე აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები (შემდგომში **„ნაგებობა“**);

(გ) „მიწის ნაკვეთზე“ გაედინება „GWP“-ს მფლობელობაში არსებული d=1200მმ-იანი მთავარი გამყვანი წყალარინების კოლექტორი (შემდგომში **„მილი“**), რომელთან მიმართებით, უკვე დარღვეულია „მესაკუთრის“ მიერ „ნაგებობის“ განთავსების სამშენებლო ნორმები და წესები, კერძოდ, „ნაგებობა“ შენებულია მთავარ წყალარინების კოლექტორზე/“მილზე“, ხოლო სამშენებლო ნორმებისა და შეწესების მიხედვით, დაშორება წყალმომარაგების მილიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობამდე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, რის გამოც, „მილის“ დაზიანებისას, „მიწის ნაკვეთზე“ მდებარე კაპიტალურ ნაგებობას შესაძლებელია მიადგეს ზიანი (ზარალი);

ამდენად,

1. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, ტერმინი **„მესაკუთრე“** გულისხმობს, როგორც „მიწის ნაკვეთის“ ამჟამინდელ მესაკუთრეს, ასევე მის ნებისმიერ უფლებამონაცვლეს ან/და

სამართალმემკვიდრეს, ისევე როგორც იმ ნებისმიერ პირს (იქნება ეს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი თუ სხვა სახის ორგანიზაცია), რომელიც მომავალში შეიძენს საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე ან/და მასზე განთავსებულ ნებისმიერ სხვა უძრავ ქონებაზე ან მათ ნებისმიერ ნაწილზე.

2. „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, „მილის“ დაზიანების შემთხვევაში, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში უზრუნველყოს „GWP“-ის შესაბამისი სამსახურების ან/და მისი ქვეკონტრაქტორების (რაც ასევე გულისხმობს მათ შესაბამის სამშენებლო ტექნიკასა და მაქანა-მოწყობილობებს) შეუფერხებელი და ოპერატიული დაშვება „მილთან“ შესაბამისი საავარიო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

3. „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, მისი ბრალით „მიწის ნაკვეთზე“ ან/და „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ განთავსებული „მილის“ დაზიანების შემთხვევაში, „GWP“-ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამგვარი მოთხოვნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, სრულად აუნაზღაუროს „GWP“-ს დაზიანებული „მილის“ აღდგენასთან და განხორციელებულ სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით გაწეული დასაბუთებული ხარჯები.

4. „მესაკუთრე“ წინასწარ აცხადებს თანახმობას, მისი ადგილზე არყოფნის შემთხვევაში, აუცილებლობიდან გამომდინარე, „GWP“-ის ან/და მისი შესაბამისი ქვე-კონტრაქტორის თანამშრომლებმა, „მილის“ საავარიო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, მიიღონ ადეკვატური ზომები, რაც შეიძლება შეზღუდვის გარეშე მოიცავდეს ეზოს/მიწის საფარის ნაწილის მოხსნას, გათხრას ან/და საჭიროების შემთხვევაში, ღობის ნაწილ(ებ)ის დემონტაჟს ან/და სხვა სახის კაპიტალური ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟს .

5. „მიწის ნაკვეთზე“ ან/და „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ განთავსებული „მილის“ დაზიანების შემთხვევაში, ისევე, როგორც ხსენებული დაზიანების აღმოფხვრის/ლიკვიდაციის სამუშაოების წარმოების შემთხვევაში (ეზოს/მიწის საფარის ნებისმიერი დაზიანება ან/და საჭიროების შემთხვევაში, ღობის ნაწილ(ებ)ის ან/და სხვა სახის კაპიტალური ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟის აუცილებლობა), „GWP“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას „მესაკუთრისთვის“ „ნაგებობის“ ან/და სხვა „მიწის ნაკვეთზე“ განთავსებული ობიექტის დაზიანებით მიყენებულ ნებისმიერი სახის ზიანზე (ზარალზე), იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი ზიანი (ზარალი), მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი ან/და სხვა. ასეთი სახის ზიანზე, სრულად პასუხისმგებელი იქნება „მესაკუთრე“.

6. „მესაკუთრე“ წინასწარ, უპირობოდ და გამოუთხოვადად, უარს აცხადებს ყველა არსებულ თუ სამომავლო მოთხოვნაზე (მოთხოვნის უფლებაზე), რაც უკავშირდება „მიწის ნაკვეთზე“ ან/და „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ განთავსებული „მილის“ დაზიანების ან/და „GWP“-ის მიერ „მილზე“ დაზიანების აღმოფხვრის/ლიკვიდაციის შედეგად „მესაკუთრისთვის“ ან/და „მიწის ნაკვეთზე“ მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული პირებისთვის „ნაგებობის“ ან/და „მიწის ნაკვეთზე“ განთავსებული სხვა ობიექტის დაზიანებით მიყენებულ ზიანს

(ზარალს) (იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი ზიანი (ზარალი), მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი და სხვა) ან გამომდინარეობს აღნიშნულიდან.

7. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „შეთანხმების“ გაფორმების (ძალაში შესვლის) შემდეგ, ნებისმიერ დროს, „მიწის ნაკვეთზე“ ან/და „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ განთავსებული „მილის“ დაზიანებიდან ან დაზიანების აღმოფხვრის/ლიკვიდაციის მიზნით წარმოებული სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე ზიანთან (ზარალთან) დაკავშირებით, რომელიმე მესამე მხარე განუცხადებს რაიმე სახის პრეტენზიას ან წაუყენებს რაიმე სახის მოთხოვნას „GWP“-ს, ასეთი სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებას საკუთარ თავზე იღებს „მესაკუთრე“. ამასთან, თუკი „GWP“-ს აღნიშნული პრეტენზიის ან/და მოთხოვნის შედეგად რომელიმე მესამე მხარის სასარგებლოდ დაეკისრება ან მოუწევს რაიმე სახის თანხების გადახდა, „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას, აუნაზღაუროს „GWP“-ს ყველა მესამე მხარისათვის გადახდილი თანხები (მათ შორის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯები).

8. „მესაკუთრე“ კისრულობს ვალდებულებას „მიწის ნაკვეთის“ და მომავალში მასზე განთავსებული „ნაგებობის“ ან მისი ნებისმიერი ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, გააცნოს წინამდებარე „შეთანხმება“ და მისი შინაარსი ნებისმიერ ახალ შემძენს.

9. წინამდებარე „შეთანხმება“ ძალაში შედის და შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს „მხარეების“ მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

10. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ წინამდებარე „შეთანხმების“ შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „შეთანხმების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

11. წინამდებარე „შეთანხმება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. „მხარეთა“ შორის წინამდებარე „შეთანხმების“ ირგვლივ წამოჭრილი ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ „მხარეები“ ვერ შეძლებენ შეთანხმების მიღწევას, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს.

13. წინამდებარე „შეთანხმების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად „შეთანხმების“ ბათილობას.

14. წინამდებარე „შეთანხმება“ ცვლის და აუქმებს „მხარეებს“ შორის შეთანხმების საგანთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ყველა სხვა წერილობით თუ ზეპირ ხელშეკრულებას, შეთანხმებას, გარიგებას ან/და დათქმას.

15. წინამდებარე „შეთანხმება“ შეუზღუდავად ვრცელდება „მხარეების“ უფლებამონაცვლეებზე და სამართალმემკვიდრეებზე, ავალდებულებს მათ და მოქმედებს მათ სასარგებლოდ.

16. „მხარეები“ კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ წინამდებარე „შეთანხმების“ რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. წინამდებარე „შეთანხმების“ რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები გადაიხდება მესაკუთრის მიერ.

17. წინამდებარე „შეთანხმება“ შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე. თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ „მხარეს“, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციის მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, „მხარეებმა“ უზრუნველყვეს წინამდებარე „შეთანხმების“ ხელმოწერა, ზემოთ პირველად აღნიშნულ თარიღზე.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

ირაკლი ბაბუხადია
გენერალური დირექტორი

შპს „მაქსთერმი“

გიორგი კუკულავა
დირექტორი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220738072
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	16.06.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ირმა შარვაძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი, ჟ. შარტავას 42**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2238372
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	32585203328322

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიურო მდებარე: თბილისი, ჟ. შარტავას 42-ში/ ვამოწმებ გიორგი კუკულავას (დაბ.09.03.1973წ. პ/ნ: 01001010197, მისამართი: თბილისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N 24 ბ. 279) ხელმოწერის ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.

გადახდილია საზღაური: დოკუმენტის 3 ეგზემპლარზე შესრულებული 12 ხელმოწერის დამოწმებისთვის 24,00 ლარი; დღგ: 4,32 ლარი რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი; თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29.12.2011წ. #507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე და 39-ე მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N220738083
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	16.06.2022 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა შარვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჟ. შარტავას 42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2238372
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	66622376670122

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე /სანოტარო ბიუროში მდებარე: თბილისი, ჟ. შარტავას 42/ ვამოწმებ ირაკლი ბაბუხადიას (დაბ. 21.08.1980წ. მისამართი: ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 6, ბინა 4, პ/ნ: 01031000434), ხელმოწერების ნამდვილობას, რომელიც შესრულებულია ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. მე, არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას, შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ.
სანოტარო მოქმედება შესრულებულია ჯუღელის ქუჩა, №10-ში , სადაც მე მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად.

გადახდილია საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011წ. #507 „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“) 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.
დოკუმენტის 3 ეგზემპლარზე შესრულებული 12 ხელმოწერის დამოწმებისთვის 24,00 ლარი; სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 20.00 ლარი, დღგ 7.92 ლარი; რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი;

ნოტარიუსი _____

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

saqarTvelos iusticiis saministro
sajaro reestris erovnuli saagento

sakadastro gegma

miwis nakveTis sakadastro kodi: *01.13.02.003.052*
gancxadebis registraciis nomeri: *882009101712*
miwis nakveTis farTobi: *444* *კვ.მ.*
daniSnuleba: *არასასოფლო-სამეურნეო*
momzadebis TariRi 10.04.09



შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა — *ვალდებულება* — *საზობრივი ნაგებობა*
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი — *მშენებარე ნაგებობა*
UTM 0.00 0.00 *(საერთაშორისო) სისტემის კოორდ.*

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ტელ: (995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.13.02.003.205**
განცხადების ნომერი: **882020342197**
მომზადების თარიღი: **25/06/2020**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**
ფართობი: **2821 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



05/25 მშენებარე ნაგებობა
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
05/25 შენობა/ნაგებობა
ხაზობრივი ნაგებობა
ტყის ფონდი
ვალდებულება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო:ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩა, N2; ტელ: (995 32) 2 25 15 28;
http://napr.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

ბრძანება:**ბ61.01222019**
თარიღი:**20/07/2022**

ბრძანება

ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა მიონის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.13.02.003.052) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დიდუბე XXI"-ს (ს/კ: 202063783) (უფლებამონაცვლე: შპს „მაქსთერმი", ს/კ: 237978113) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 2 ივნისის №ე-25-39-658 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა „მიონის" მოპირდაპირე მხარეს მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.02.003.052) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დიდუბე XXI"-ს (ს/ნ 202063783) (უფლებამონაცვლე: შპს „მაქსთერმი", ს/ნ 237978113) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 2 ივნისის №ე-25-39-658 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის №22.831.913 განკარგულებისა და „ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა „მიონის" მოპირდაპირე მხარეს მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.13.02.003.052) ნაწილზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დიდუბე XXI"-ს (ს/ნ. 202063783) (უფლებამონაცვლე: შპს „მაქსთერმი", ს/ნ. 237978113) შორის გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 2 ივნისის №ე-25-39-658 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის №321 განკარგულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შპს „მაქსთერმის" (ს/კ: 237978113) მიერ ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული თანხის სრულად გადახდის შემდგომ, შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „დიდუბე XXI"-ს (ს/კ: 202063783) (უფლებამონაცვლე: შპს „მაქსთერმი", ს/კ: 237978113) შორის გაფორმებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ 2011 წლის 2 ივნისის №ე-25-39-658 ოქმში (ხელშეკრულებაში) და აღნიშნული ოქმით (ხელშეკრულებით) განკარგული უძრავი ქონების

ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ქარხანა „მიონის" მოპირდაპირე მხარეს მდებარე 444 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ს/კ: 01.13.02.003.052) ნაწილზე (32 კვ.მ. - წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად) გაუქმდეს აღნიშნული ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობა - „მშენებლობის უფლების გარეშე";

2. შპს „მაქსთერმმა" (ს/კ: 237978113) ამ ბრძანების გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს 21 457 (ოცდაერთი ათას ოთხას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარის გადახდა ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო ანგარიშზე.
3. დაევალოს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს საინვესტიციო პროექტების მართვისა და ხელშეკრულებების მონიტორინგის სამმართველოს, ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილების გაცნობის მიზნით, ბრძანების გაგზავნა შპს „მაქსთერმისათვის" (ს/კ: 237978113), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. წინამდებარე ბრძანება ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შესრულების, კერძოდ, განსაზღვრულ ვადაში თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

თამარ მელიქიშვილი

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 2 72 22 22

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

ნერილის ნომერი: **61-01220843402**
თარიღი: **25/03/2022**
პინი: **7571**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: შპს „მაქსთერმი“
(დირექტორი: გიორგი კუკულავა)
საიდენტიფიკაციო ნომერი: 237978113
მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, №149
ტელ: 599187708

თქვენი 2021 წლის 07 დეკემბრის №QN1866142 და 2022 წლის 18 იანვრის №QN1873319 განცხადებების პასუხად, რომლითაც ითხოვთ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში: სააგენტო) მიერ გამოცხადებული №25 აუქციონის საფუძველზე შეძენილ №01.13.02.003.052 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ (სხვა ქონებასთან გაერთიანების შედეგად, ამჟამად რეგისტრირებულია როგორც ს/კ: 01.13.02.003.205) მიწის ნაკვეთზე არსებული „მშენებლობის უფლების გარეშე“ შეზღუდვის სრულად ან ნაწილობრივ (32 კვ.მ. - წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად) მოხსნას, გაცნობებთ შემდეგს:

იმის გათვალისწინებით, რომ №01.13.02.003.052 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი პირობებიანი აუქციონის ფორმით განიკარგა მასზე არსებული „მშენებლობის უფლების გარეშე“ შეზღუდვით, ხოლო ქონების შემძენის მიერ მოთხოვნილი ცვლილება აუმჯობესებს როგორც ქონების ღირებულებას, ასევე, ქონების შემძენის მდგომარეობას, სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი განიხილოს თქვენს განცხადებაში მითითებული საკითხი, იმ პირობით, რომ ქონების შემძენი, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხდის აუქციონზე შეძენილი №01.13.02.003.052 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (59 052 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის „მშენებლობის უფლების გარეშე“ შეზღუდვისგან სრულად ან ნაწილობრივ (32 კვ.მ. - წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად) თავისუფალ მდგომარეობაში ღირებულებებს შორის სხვაობის დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებულ თანხას, რომელიც სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 18 მარტის №001655522 დასკვნის თანახმად შეადგენს:

- შეზღუდვის მთელს ქონებაზე გაუქმების შემთხვევაში: **297 740 (ორას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ორმოცი) ლარს;**
- შეზღუდვის ქონების ნაწილზე (32 კვ.მ. - წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად) გაუქმების შემთხვევაში: **21 457 (ოცდაერთი ათას ოთხას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარს.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ წინამდებარე წერილის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია ამავე კორესპონდენციაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

აქვე განგიმარტავთ, რომ ზემოაღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების დისკრეციულ უფლებამოსილებას. შესაბამისად, ეს წერილი არ შეიძლება განხილული იქნას როგორც ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება და აქედან გამომდინარე, ქონების შემძენის კანონიერი ნდობის წარმოშობის საფუძველი.

დანართი: 09 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

20.05.2022

განცხადება

გავეცანით თქვენს წერილს ნომრით : 61-01220843202

თანახმა ვართ შეზღუდვის ქონების ნაწილზე (32კვ.მ -წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად)

ღირებულებების შორის სხვაობის დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებულ თანხაზე .

დირექტორი : გიორგი კუკულავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01222022957**
თარიღი: **21/07/2022**

ადრესატი: შპს მაქსთერმი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 237978113
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა, №149

თქვენი 2021 წლის 07 დეკემბრის QN1866142, 2022 წლის 18 იანვრის QN1873319 და 2022 წლის 23 მაისის №10/012214353-61 განცხადებების პასუხად, გიგზავნით სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 20 ივლისის №b61.01222019 ბრძანებას.

აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ არაუგვიანეს 2022 წლის 19 აგვისტოსა უზრუნველყოთ 21 457 (ოცდაერთი ათას ოთხას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარის გადახდა შემდეგ ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი 300773390.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

თამარ მელიქიშვილი

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

საგადახდო დავალება No 1565

Transfer Order No 1565

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

ვალუტირების თარიღი/Value Date: 27/07/2022 რეფერენსი/reference: 13981709419

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator შპს "მაქსთერმი"	ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) GE32BG0000000181329900GEL	თანხა/Amount 21,457.00 GEL
გადამხდელის ბანკი/Originator Bank სს "საქართველოს ბანკი"	ბანკის კოდი/Bank Code BAGAGE22	თანხა სიტყვებით/Amount in words ოცდაერთი ათას ოთხას ორმოცდაჩვიდმეტი ლარი 00 თეთრი
გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name შპს "მაქსთერმი"	საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer 237978113	
მიმღების დასახელება/Recipient ქ. თბილისი - შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული	ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code 300773390	ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
მიმღების ბანკი/Recipient Bank სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი/Bank Code TRESGE22	გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank 27/07/2022
გადახდის დანიშნულება/Description წერილი ნომერი: 61-01222022957		ხელმოწერა/Signature:
დამატებითი ინფორმაცია/Additional Info		შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK
ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:	ბეჭედი:	ვალუტირების თარიღი/Value Date: